

ଓରେଣ୍ଡା
NONFICTION

ოძივარ საქსი

ჭავჭა, რომელსაც
ცოდი ძალი ეგონა

და სხვა კრინიკური შემთხვევები

ოლივერ საკსი
პაცი, რმალუსაც ცოლი ძუდი ეგონა
და სხვა კლინიკური შემთხვევები

Oliver Sacks
THE MAN WHO MISTOOK HIS WIFE FOR A HAT
and other clinical tales

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

© Oliver Sacks, 1985
All rights reserved.
© გამომცემლობა „დიოგენე“, 2023
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-830-2

www.diogene.ge

სარჩევი

წინათქმა 7

ნაცილი პირველი. დანაკარგები

შესავალი	17
1. კაცი, რომელსაც ცოლი ქუდი ეგონა	24
2. გზააპეული მეზღვაური	44
3. უსხეულო ქალი	72
4. კაცი, რომელიც საწოლიდან გადმოვარდა.....	87
5. ხელები	91
6. ფანტომები	100
7. თარაზოს პრინციპი	106
8. სწორება მარჯვნივ!	114
9. პრეზიდენტის სიტყვა	118

ნაცილი მეორე. სიჭარებები

შესავალი	127
10. ტიკიანი ხუმარა რეი.....	133
11. კუპიდონის დაავადება.....	147
12. პიროვნების დადგენა.....	155
13. მამაო-დაო.....	165
14. შეპყრობილი	170

ნაწილი მესამე. ზეპთაგონება

შესავალი	179
15. რემინისცენცია	183
16. თავაშვებული ნოსტალგია	208
17. მოგზაურობა ინდოეთისკენ	212
18. ძაღლისებრი განცდები	216
19. მკვლელობა	222
20. ჰილდეგარდის ხილვები	228

ნაწილი მეოთხე. გონიერივად ჩამორჩენილთა სამყარო

შესავალი	234
21. რებეკა	241
22. ცოცხალი ლექსიკონი	253
23. ტყუპები	263
24. აუტისტი მხატვარი	288

ცინათქმა

პასკალის თქმით, მხოლოდ წიგნის წერის დასრულებისას ხვდები, როგორ უნდა დაგეწყო ის. დავწერე, შევაგროვე და სათანადოდ დავაწყვე ეს უცნაური ისტორიები, შევარჩიე სათაური და ორი ეპიგრაფი, ახლა კი უნდა გავიაზრო, რა გამოვიდა აქედან და რატომ.

ორი ეპიგრაფი კონტრასტული შინაარსისაა – რასაც ხაზგას-მით აღნიშნავს მაკენზი ექიმისა და ნატურალისტის ურთიერთდა-პირისპირებით. ეს კონტრასტი შეესაბამება ჩემი ხასიათის გაორე-ბულობას, იმას, რომ მაინტერესებს როგორც დაავადებები, ისე ადამიანები. ამასთან, შეძლებისდაგვარად (თუმცა არასაკმარისად), თეორეტიკოსიც ვარ და ლიტერატორიც, მეცნიერიც და რომანტიკოსიც, ერთდროულად ვიკვლევ პიროვნებასაც და ორგანიზმსაც და მკაფიოდ ვხედავ ამ ორივე საწყისს ადამიანის ტიპურ მდგომა-რეობაში – ავადმყოფობაში. მართალია, ცხოველებიც ავადმყოფო-ბენ ხოლმე, მაგრამ ავადმყოფობა მხოლოდ ადამიანის მდგომარეო-ბას ცვლის რადიკალურად.

ჩემი ცხოვრება და მუშაობა მთლიანად ავადმყოფებს ეძღვნება, მაგრამ ავადმყოფები და მათი დაავადებები მიბიძგებს, დავფიქ-რდე ზოგიერთ არსებით საკითხზე, რომლებზეც სხვა პირობებში არ დავფიქრდებოდი. ასე რომ, იძულებული ვარ, ნიცშესთან ერთად ვთქვა: „რაც შეეხება ავადმყოფობას, განა გამუდმებით არ გვიჩ-

ნდება ცდუნება, ვიკითხოთ, შეიძლება თუ არა მის გარეშე არსებობა?“ და განვიხილო ამასთან დაკავშირებული ფუნდამენტური საკითხები. პაციენტებზე დაკვირვებისას ჩემ წინაშე გამუდმებით წამოიქრება ხოლმე ეს კითხვა და პასუხის ძებნისას კვლავ პაციენტებს უუბრუნდები – ამდენად, ქვემოთ მოყვანილ ისტორიებში უნკვეტი წრიული მოძრაობა შეიმჩნევა.

კვლევების დანიშნულება გასაგებია, მაგრამ რა როლს ასრულებს ისტორიები, ამბები? ჰიპოკრატემ შემოიტანა ავადმყოფობის ისტორიული გაგება, რომლის მიხედვით, დაავადება ვითარდება პირველი სიმპტომებიდან კულმინაციამდე ან კრიზისამდე, შემდეგ კი – გამოვანსალებამდე ან სიკვდილამდე. ამდენად, ჰიპოკრატემ დაამკვიდრა დაავადების ბუნებრივი მიმდინარეობის ისტორია, აღნერა ან ასახვა, რასაც ზუსტად შეესაბამება ძველი სიტყვა „პათოლოგია“. ასეთი ისტორიები ბუნებრივია, მაგრამ ისინი არაფერს გვეუბნება ადამიანზე, მის განცდებსა და იმაზე, როგორ აღიქვამს ის თავის დაავადებას და როგორ იბრძვის გადარჩენისთვის. ვიწრო გაგებით, ავადმყოფობის ისტორიაში არ არსებობს „სუბიექტი“. ამჟამად ავადმყოფობის ისტორიებში ადამიანი მხოლოდ გაკვრით მოიხსენიება (ტრისომიკი-ალბინოსი, მდედრობითი სქესი, ასაკი – 21 წელი). ასე შეიძლება ვირთხაც აღინეროს. იმისთვის, რომ ცენტრალურ ადგილას დავაყენოთ ტკივილებისგან დატანჯული ადამიანი, რომელიც დაავადებას ებრძვის, საჭიროა, ავადმყოფობის ისტორია უფრო გავაღრმაოთ და ნარატივად, ამბად ვაქციოთ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში წარმოჩნდება ჭეშმარიტი „ვიზ“ და „რა“ – რეალური პიროვნება, პაციენტი და მისი მიმართება დაავადებასთან, სხეულთან.

პაციენტის რეალური ცხოვრება უშუალოდ უკავშირდება ნევროლოგისა და ფსიქოლოგის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, რადგან იქ, სადაც არსებითია პაციენტის პიროვნება, დაავადების შესწავლა და პიროვნების შესწავლა ურთიერთისგან არ უნდა გაიმიჯნოს. ზოგიერთ დაავადებას და მათი ანალიზის მეთოდებს საგანგებო სამეცნიერო დისციპლინის, „პიროვნების ნევროლოგიის“, შექ-

მნა სჭირდება, რომლის ამოცანად უნდა იქცეს ადამიანის „მეს“ ნევ-როლოგიური საფუძვლების, ტვინისა და ცნობიერების ურთიერთმი-მართების უძველესი პრობლემის კვლევა. შეიძლება, ფსიქიურსა და ფიზიკურს შორის ცნებითი წყვეტა არსებობს, მაგრამ კვლევებსა და ისტორიებს, რომლებიც ორგანიზმსაც ეძღვნება და პიროვნებასაც (რაც ჩემთვის განსაკუთრებით მიმზიდველია და რის ხორცშესხმაც ნინამდებარე წიგნში ვცადე), ძალუძს მათი დაახლოება, მექანიკუ-რი პროცესისა და სიცოცხლის ურთიერთობადაკვეთა და, ამგვარად, ბიოგრაფიასთან ფიზიოლოგის კავშირის გამოაშვარავება.

ადამიანისა და მისი ბედ-ილბლის აღწერის კლინიკურმა ტრა-დიციამ თავის აპოთეოზს მეცხრამეტე საუკუნეში მიაღწია, მაგრამ შემდეგ, უპიროვნო ნევროლოგის განვითარებასთან ერთად, თან-დათან მიივიწყეს. ა. ლურია წერდა: „აღწერის უნარი, რომელიც ასე ფართოდ იყო გავრცელებული მეცხრამეტე საუკუნის ნევროლოგთა და ფსიქიატრთა შორის, ამჟამად თითქმის გაქრა... აუცილებელია მისი აღდგენა“. თვით ლურიას გვიანდელ ნაშრომებში, როგორები-ცაა „პატარა წიგნი დიდი მეხსიერების შესახებ“ და „დაკარგული და დაბრუნებული სამყარო“¹, ამ დავიწყებული ტრადიციის აღდგე-ნის მცდელობები შეიმჩნევა. მის მიერ მოყვანილ ავადმყოფობების ისტორიებში თავს იჩენს მე-19 საუკუნიდან და ჰიპოკრატეს აღწე-რებიდან მომდინარე ტენდენცია, როდესაც ავადმყოფები ექიმებს საკუთარ თავსა და თავიანთ დაავადებებზე მოუთხრობდნენ.

კლისიკურ ლიტერატურაში გვხვდებიან არქეტიპული პერსონა-ჟები: გმირი, მსხვერპლი, ნამებული, მეომარი. ნევროლოგიური პა-ციენტები ყველა ამ პერსონაჟს განასახიერებენ, მაგრამ აქ მოთხრო-ბილ უცნაურ ისტორიებში ისინი მხოლოდ დასახელებულ არქეტი-პებზე არ დაიყვანებიან. მაგალითად, როგორ უნდა დავახსასიათოთ

¹ აქ მოგვყავს ა. ლურიას ნაშრომთა ავტორისეული სათაურების თარგმანები. ამ წიგნების ინგლისურენვან გამოცემათა სათაურებია, შესაბამისად, The Mind of a Mnemonist და The Man with a Shattered World (მთარგმნ. შენ.).

მითოლოგიური და მეტაფორული ტერმინებით „გზააპნეული მეზ-ლვაური“ ან ამ წიგნის სხვა უჩვეულო პერსონაჟები? მათი შეიძლება გასაოცარ ქვეყნებში (რომლებსაც ამ პერსონაჟების გარეშე ვერც კი წარმოვიდგენდით) მოხეტიალე ყარიბები ვუწოდოთ. მათი ცხოვრება და ხეტიალი ერთგვარად მითოლოგიურ ასპექტში წარმომიდგება, რის გამოც ერთ-ერთ ეპიგრაფად „ათას ერთი ღამის“ ოსტორისეული მეტაფორა შევარჩიე, ხოლო ავადმყოფობის ისტორიები ზღაპრულ და მითოლოგიურ ამბებად გავიაზრე. მეცნიერულისა და რომანტიკულის ურთიერთშერწყმის შედეგია, ლურიას თქმით, „რომანტიკული მეცნიერება“, რომელიც ფაქტისა და მითის ურთიერთგადაკვეთისას წარმოქმნება; და ეს ქვემოთ მოთხოვობილ ისტორიებში აისახა (ისევე, როგორც ჩემს წინა წიგნში „გაღვიძებები“).

ესაა საოცარი ფაქტები, საოცარი მითები, რომლებსაც ვერა-ფერი შეეძრება! არ არსებობს მსგავსი მოდელები, მეტაფორები ან მითები. იქნებ ახალი სიმბოლოების, ახალი მითების დრო დადგა?

წინამდებარე წიგნის რვა თავი უკვე გამოქვეყნებულია: „გზააპნეული მეზლვაური“, „ხელები“, „ტყუპები“ და „აუტისტი მხატვარი“ – „New York Review of Books“-ში (1984 და 1985 წლებში), „ტიკიანი ხუმარა“, „კაცი, რომელსაც ცოლი ქუდი ეგონა“ და „რემინისცენცია“ (შემოქლებული ვარიანტი, სახელწოდებით „მუსიკალური სმენა“) – „London Review of Books“-ში (1981, 1983, 1984 წლებში), „თარაზოს პრინციპი“ – უურნალ „The Sciences“-ში (1985 წელს); დიდი ხნის წინ დაწერილი ანგარიში პაციენტი ქალის შესახებ, რომელიც შემდეგ როუზ რ.-ს პროტოტიპად იქცა „გაღვიძებებში“ და დებორას პროტოტიპად ჰაროლდ პინტერის პიესაში „რაღაც ალასკისმაგვარი“, მოყვანილია „თავაშვებულ ნოსტალგიაში“ (რომელიც თავდაპირველად დაიბეჭდა 1970 წელს, უურნალ „Lancet“-ის გაზაფხულის წომერში, სახელწოდებით „L-DOPA-თი გამოწვეული თავაშვებული ნოსტალგია“); „ფანტომების“ პირველი და მეორე ისტორია გამოქვეყნდა „British Medical Journal“-ში, სახელწოდებით „კლინიკური კურიოზი“ (1984). კიდევ ორი მოკლე ისტორია ნასესხებია ჩემი წინა

წიგნებიდან: „კაცი, რომელიც საწოლიდან გადმოვარდა“ – წიგნიდან „ფეხი, როგორც საყრდენი“, ხოლო „ჰილდეგარდის ხილვები“ – წიგნიდან „შაკიკი“. დანარჩენი თორმეტი თავი პირველად ქვეყნდება; ისინი 1984 წლის შემოდგომაზე და ზამთარში დაიწერა.

დიდ მადლობას ვუხდი ჩემს რედაქტორებს, უპირველეს ყოვლისა, რობერტ სილვერსს, „New York Review of Books“-იდან და მერი-ქეი უილმერსს ლონდონის „London Review of Books“-იდან; შემდგომ – კეიტ ედგარს და ჯიმ სილბერმენს ნიუ-იორკის გამომცემლობა „Summit Books“-იდან; ასევე – კოლინ ჰეიკრაფტს ლონდონის გამომცემლობა „Duckworth“-იდან. მათ ფასდაუდებელი დახმარება გამინიეს წიგნის საბოლოოდ გაფორმებაში.

განსაკუთრებით ვემადლიერები ჩემს ნევროლოგ კოლეგებს: ან გარდაცვლილ ჯეიმს პ. მარტინს, რომელსაც კრისტინას და მისტერ მაკვრეგორის ვიდეოჩანანერები ვუჩვენე; თავები „უსხეულო ქალი“ და „თარაზის პრინციპი“ ამ პაციენტთა შესახებ მსჯელობის შედეგად დაიწერა; მაიკლ კრემერს – ჩემს ყოფილ „უფროსს“ ლონდონში, რომელმაც „ფეხი, როგორც საყრდენის“ (1984) წაკითხვის შემდეგ მიამბო მსგავსი შემთხვევის შესახებ თავისი პრაქტიკიდან. მის მიერ მოთხრობილი ისტორია ჩავრთე თავში „კაცი, რომელიც საწოლიდან გადმოვარდა“; დონალდ მაკრეს, რომელიც ვიზუალური აგნოზის უჩვეული შემთხვევას აკვირდებოდა (ეს შემთხვევა საოცრად წააგავს დ-რ პ.-ს ისტორიას). ჩემი ნაშრომის პუბლიკაციიდან ორი წლის შემდეგ შემთხვევით აღმოვაჩინე დ. მაკრეს სტატია და მისი ფრაგმენტები ჩავრთე თავში „კაცი, რომელსაც ცოლი ქუდი ეგონა“; განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს ახლო მეგობარსა და კოლეგას, იზაბელ რაპენს, რომელიც ჩემთან ერთად შეისწავლიდა მრავალი ავადმყოფის ისტორიას; მან გამაცნო კრისტინა („უსხეულო ქალი“) და მრავალი წლის განმავლობაში აკვირდებოდა „აუტისტ მხატვარ“ ხოსეს.

უდიდეს მადლიერებას გამოვთქვამ ყველა პაციენტის (და ზოგჯერ მათი ნათესავების) მიმართ, რომელთა ისტორიებიც ამ წიგნშია

მოთხრობილი, უანგარო დახმარებისა და დიდსულოვნებისთვის, იმისთვის, რომ, თუმცა ჩემი მეცნიერული ინტერესი არავითარ დახმარებას არ გაუწევდათ, მაინც ხელს მიწყობდნენ და უფლებას მაძლევდნენ, აღმენერა მათი ისტორიები იმ იმედით, რომ სხვები გაიაზრებდნენ და, შესაძლოა, ისწავლიდნენ იმ დაავადებათა მკურნალობას, რომელთაგანაც იტანჯებოდნენ. ისევე, როგორც „გალვიძებებში“, ამჯერადაც შევცვალე სახელები და ზოგიერთი გარემოება, მაგრამ ყოველი ისტორიის ალენერისას შევეცადე, ზუსტად გადმომეცა მათი შეგრძნებები და განცდები.

ბოლოს, მინდა, გამოვთქვა მადლიერება – რომელიც მადლიერების ჩვეულებრივ გრძნობას აღემატება – ჩემი მასწავლებლისა და ექიმის მიმართ, რომელსაც ეძღვნება ეს წიგნი.

ო. ს.

ნიუ-იორკი

1985 წ. 10 თებერვალი

დაავადებებზე ლაპარაკი იგივეა, რაც „ათას
ერთი ლამის“ ზღაპრებით თავის შექცევა.

უილიამ ოსლერი

ექიმს [ნატურალისტისგან განსხვავებით]...
საქმე აქვს ცალკეულ ორგანიზმთან, სუბიექტთან,
რომელიც გადარჩენისთვის იპრძვის თავისთვის
სახიფათო ვითარებაში.

ავი მაკენზი

ნაცილი პირველი

დანაკარგები

შესავალი

ნევროლოგიაში გავრცელებული ტერმინი „დეფიციტი“ აღნიშნავს ამა თუ იმ ნევროლოგიური ფუნქციის დარღვევას ან სრულ მოშლას. ეს შესაძლოა იყოს ენის, მეტყველების, მეხსიერების, მხედველობის, საზრიანობის დაკარგვა, პიროვნულობისა და სპეციფიკური ფუნქციების (ან უნარების) უამრავი სხვადასხვაგვარი დარღვევა ან მოშლა. ყველა ასეთი დისფუნქცია (აი კიდევ ერთი გავრცელებული ტერმინი) აღინიშნება საგანგებო ტერმინებით: აფონია, აფემია, აფაზია, ალექსია, აპრაქსია, აგნოზია, ამნეზია, ატაქსია, იმ კონკრეტული ნერვული ან ფსიქიკური ფუნქციის შესაბამისად, რომელსაც ნაწილობრივ ან სრულად კარგავენ პაციენტები ავადმყოფობის, ტრავმის ან არასწორი განვითარების შედეგად.

ტვინისა და ცნობიერების ურთიერთმიმართების მეცნიერული კვლევა 1861 წელს დაიწყო, როცა ფრანგმა მეცნიერმა ბროკამ აღმოაჩინა, რომ ექსპრესიული სამეტყველო უნარების ზოგიერთი სახის დარღვევას – აფაზიას – ყოველთვის წინ უძლვის მარცხენა ნახევარსფეროს გარკვეული ზონის დაზიანება. ამ აღმოჩენამ საფუძველი ჩაუყარა ახალ მეცნიერებას – ცერებრალურ ნევროლოგიას, რომელმაც მომდევნო ათწლეულების განმავლობაში შეძლო, თანდათან შეექმნა ადამიანის თავის ტვინის „რუკა“ და სპეციფიკური ენობრივი, ინტელექტუალური, ჰერცეფიული და სხვა უნა-

რეპი ტვინის გარკვეულ „ცენტრებს“ დაუკავშირა. მე-19 საუკუნის ბოლოს ყველაზე გამჭრიახი მკვლევრებისთვის, პირველ რიგში, ფრონდისთვის (იხ. მისი წიგნი „აფაზია“), აშკარა გახდა, რომ ამ-გვარი კარტოგრაფიული აღწერა რამდენადმე მარტივი იყო, რომ ყველა მენტალურ აქტს რთული შინაგანი სტრუქტურა აქვს და ასეთივე რთული ფიზიოლოგიური ბაზისი უნდა ჰქონდეს. ფრონ-დი ამას განსაკუთრებით მკაფიოდ მიხვდა მაშინ, როცა ამოცნო-ბისა და აღქმის დარღვევის იმ სახეობებს იკვლევდა, რომელთა აღსანიშნავად შემოიტანა ტერმინი „აგნოზია“. ფრონდის აზრით, აფაზისა და აგნოზის ადგევატური გაგებისთვის ახალი, უფრო რთული თეორიის შექმნა იყო საჭირო.

ტვინის/ცნობიერების ახალი თეორია, რომელსაც ფრონდი წი-ნასწარმეტყველებდა, მეორე მსოფლიო ომის დროს შეიქმნა ა. რ. ლურიას (და მამამისის, რ. ა. ლურიას), ლეონტიევის, ანოხინის, ბერ-ნშტაინისა და სხვების ერთობლივი ძალისხმევით. მას „ნეიროფსი-ქოლოგია“ უწოდეს. ამ ძალზე ნაყოფიერი სფეროს განვითარებას ა. რ. ლურიამ მთელი სიცოცხლე მიუძღვნა. ახალი თეორია, მისი რევოლუციური მნიშვნელობის გამო, ძალზე ნელა ვრცელდებო-და დასავლეთში. ეს თეორია ლურიამ სისტემატურად ჩამოაყალიბა მონუმენტურ მონოგრაფიაში „ადამიანის უმაღლესი კორტიკალური ფუნქციები“ (ინგლისურ ენაზე ითარგმნა 1966 წელს) და, რამდენად-მე განსხვავებულად, ბიოგრაფიული ან „პატოგრაფიული“ მანერით, წიგნში – „დაკარგული და დაპრუნებული სამყარო“ (ინგლისურ ენა-ზე ითარგმნა 1972 წელს). ეს სრულყოფილი გამოკვლევებია, მაგრამ ლურია მთელ სფეროს არ შეხებია. პირველ წიგნში მხოლოდ ის ფუნ-ქციებია განხილულია, რომლებსაც ტვინის მარცხენა ნახევარსფერო განაგებს; ანალოგიურად, მეორე წიგნის გმირს, ზასეცკის, მნიშვნე-ლოვნად ჰქონდა დაზიანებული თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფე-რო, მარჯვენა ნახევარსფერო კი საღი ჰქონდა. გარკვეული გაგებით, ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის მთელი ისტორია, შეიძლება, მარცხენა ნახევარსფეროს კვლევის ისტორიად მივიჩნიოთ.

იმის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომ მარჯვენა, ანუ „მეორეხარისხოვან“ (როგორც მას ყოველთვის უწოდებენ), ნახევარსფეროს ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ისაა, რომ მარცხენა ნახევარსფეროს სხვადასხვა ზონის დაზიანების გამოვლენა ადვილია, მარჯვენა ნახევარსფეროს შესაბამისი სინდრომები კი გაცილებით სუსტად განირჩევა ერთმანეთისგან. ყოველთვის ივარაუდებოდა (ჩვეულებრივ, ქედმალლურად), რომ მარჯვენა ნახევარსფერო, მარცხენასთან შედარებით, უფრო „პრიმიტიულია“. ეს უკანასკნელი ადამიანის ევოლუციის ერთადერთ უზენაეს მიღწევად მიიჩნეოდა. ეს, გარკვეული გაგებით, მართებულია: მარცხენა ნახევარსფერო რთული და სპეციალიზებულია, რადგან ის პრიმატების და, განსაკუთრებით, ჰომინიდების თავის ტვინის განვითარების გვიანდელი შედეგია. სამაგიეროდ, მარჯვენა ნახევარსფერო რეალობის აღქმის საბაზისო უნარებს განაგებს, რომლებიც აუცილებელია ყოველი ცოცხალი ორგანიზმისთვის არსებობისთვის ბრძოლაში. მარცხენა ნახევარსფერო კომპიუტერს წააგავს, რომელიც ტვინთანაა მიერთებული და პროგრამული უზრუნველყოფისა და სქემების შემუშავებისთვისაა განკუთვნილი. კლასიკური ნევროლოგია უფრო სქემებით ინტერესდებოდა, ვიდრე რეალობით, ამიტომ, როცა, ბოლოს, მარჯვენა ნახევარსფეროს ზოგიერთი სინდრომი გამოვლინდა, ისინი უცნაურ ფენომენებად აღიარეს.

ნარსულში რამდენჯერმე სცადეს მარჯვენა ნახევარსფეროს სინდრომების შესწავლა. მაგალითად, 1890-იან წლებში მათ ანტონი შეისწავლიდა, 1928 წელს – პეტლი. უცნაურია, რომ ამ მცდელობებმა ყურადღება არ მიიქცია. თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომში „ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები“ ლურიამ მარჯვენა ნახევარსფეროს სინდრომებს მოკლე, მაგრამ საინტერესო ქვეთავი მიუძღვნა, რომელიც ასე მთავრდება:

„მარჯვენა ნახევარსფეროს დაზიანების ამ ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელ სინდრომებს მივყავართ ერთ-ერთ ძი-

რითად პრობლემასთან – მარჯვენა ნახევარსფეროს როლთან ცნობიერებაში... ეს უაღრესად მნიშვნელოვანი სფერო ჯერჯე-რობით სრულად არაა შესწავლილი... ეს საკითხი დეტალურად გაანალიზდება სტატიების საგანგებო სერიაში... რომლებიც გამოსაქვეყნებლად მზადდება“.

მძიმე სენით დაავადებულმა ლურიამ სიცოცხლის ბოლო თვეებში ამ სტატიებიდან ზოგიერთი დაწერა, მაგრამ მათ გამოქვეყნებას ვერ მოესწორო. რუსეთში ისინი საერთოდ არ გამოქვეყნებულა. სიკვდილის წინ ლურიამ თავისი გამოკვლევები ინგლისელ მეცნიერს, რ. ლ. გრეგორის, გაუგზავნა, რომელიც მათ მაღა გამოაქვეყნებს „ცნობიერების საკითხების ოქსფორდის გზამკვლევში“.

მარჯვენა ნახევარსფეროს სინდრომებში შინაგანი სიძნელეები გარეგან სიძნელეებს შეესაბამება. ამ ნახევარსფეროს გარკვეული სინდრომების მქონე პაციენტებისთვის არა მარტო რთული, არა-მედ შეუძლებელიცაა საკუთარი მენტალური პრობლემების – უჩვეულო და სპეციფიკური „ანოზაგნოზიის“ (როგორც მათ ბაბინსკიმ უწოდა) – გაცნობიერება. ყველაზე გამჭრიახი დამკვირვებლის-თვისაც კი განსაკუთრებით ძნელია, აღნეროს ამგვარ პაციენტთა შინაგანი მდგომარეობა, რომელიც წარმოუდგენლად განსხვავდება ჩვეულებრივი ადამიანების განცდებისგან. მარცხენა ნახევარსფეროს სინდრომები, პირიქით, შედარებით გასაგები და ჩვეულია. ამასთან, მართალია, მარჯვენა ნახევარსფეროს სინდრომები ისევე გავრცელებულია, როგორც მარცხენა ნახევარსფეროსი (რაც სავსებით ბუნებრივია), მაგრამ ნევროლოგიურ და ნეიროფსიქოლოგიურ ლიტერატურაში მარცხენა ნახევარსფეროს სინდრომების ათასობით აღნერას მარჯვენა ნახევარსფეროს სინდრომის ერთი აღნერა შეესაბამება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მარჯვენა ნახევარსფერო ნევროლოგიისთვის უცხო საკვლევი ობიექტი იყოს, თუმცა, ლურიას თქმით, მარჯვენა ნახევარსფეროს სინდრომები ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე პრობლემაა, იმდენად, რომ